ტარას ბულბა

ნიკოლაი გოგოლი

2015-02-23



ნიკოლაი გოგოლი

რუსულიდან თარგმნა **ივანე ახალშენიშვილმა**
მთავარი რედაქტორი **ნინო დეკანოსიძე**
რედაქტორი **ნანა კაციტაძე**

ტექნიკური რედაქტორი **ნატალია ახვლედიანი**
დიზაინერი **ეთო გზირიშვილი**
მხატვარი **ლევან კვარაცხელია**
კორექტორი **ნატალია ჩიმაკაძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა **დათო მოსიაშვილი**

© გამომცემლობა პალიტრა L, 2013
ყველა საავტორო უფლება დაცულია.

I

— აბა, ერთი მიბრუნდი, შვილო! ეჰა, რა სასაცილოდ გამოიყურები! ეს რა მღვდლის ანაფორები გაცვიათ? ყველა ასე დადის აკადემიაში? — ამ სიტყვებით შეეგება მოხუცი ბუღბა თავის ორ შვილს, რომლებიც კიევის ბურსაში[1] სწავლობდნენ და ახლა მამას მოუვიდნენ შინ.

ყმაწვილები ის იყო, ცხენებიდან ჩამოხდნენ. ეს იყო ორი ბრგე ვაჟკაცი, რომლებიც თავჩაღუნული, დაბღვერილნი იყურებოდნენ როგორც ახალკურსდამთავრებული სემინარიელები. ახალწვერულვაშშეღერებულ მათ საღ და ჯანმრთელ სახეებს სამართებელი ჯერ არ მიჰკარებოდა. მამის ასეთი დახვედრით შეცბუნებული უძრავად იდგნენ და მიწას ჩასჩერებოდნენ.

— მოიცათ, მოიცათ, ერთი კარგად დამენახვეთ, — ეუბნებოდა ბუღბა შვილებს და თან აქეთ-იქით ატრიალებდა: — ეს რამსიგრძე ქუდაჯები ჩაგიცვამთ! შეხედეთ ერთი! ასეთი ქუდაჯები, ვგონებ ქვეყნად არც არავის უნახავს. გაქცევა რომ დაგჭირდეთ, ხომ მიწაზე გაიშხლართებით, კალთები ფეხებში გაგებლანდებათ?!

— ნუ დაგვცინი, ნუ, ბატკუ[2], — ბოლოს სიტყვა შეუბრუნა უფროსმა.

— ამას დამიხედეთ, რა დიდ გულზეა! ვითომ რატომ არ უნდა დაგცინო, ჰა?

— იმიტომ რომ, მამა კი ხარ, მაგრამ, თუ დაცინვას დამიწყებ, ღმერთმანი, შემომეხახები!

— აი, შე ყურუმსაღო! როგორ! მამაზე ხელს ასწევ? — ჩაეკითხა ტარას ბუღბა შვილს და განცვიფრებულმა რამდენიმე ნაბიჯი უკან გადგა.

— მერე, რა, რომ მამა ხარ. შეურაცხყოფას არავის ვაპატიებ.

— მერე, როგორ უნდა მეჩხუბო? იქნებ მუშტითა?

— როგორ და რითაც გნებავს.

— მოდი, მაშ, და მუშტი-კრივში ვსინჯოთ ერთმანეთი! — უპასუხა ბუღბამ და სახელოები დაიმკლავა: — ვნახოთ ერთი, როგორი მოჩხუბარი ხარ!

და დიდი ხნის უნახავმა მამა-შვილმა მისალმების ნაცვლად ერთმანეთს გვერდებში, წელსა და გულ-მკერდში დაგადუგი და მუშტით ზელა დაუწყო; ხან გაეცლებოდნენ ერთმანეთს, ხან ისევ შეებმებოდნენ.

— შეხედეთ ერთი, ვინა ხართ ღვთისნიერი, გაგიჟებუღა ბებერი! მთღად გადარეუღა! — ვიშვიშებდა იქვე ზღურბღთან მდგარი ფერმკრთაღი, გამხდარი, კეთიღი დედა, რომეღსაც მონატრებუღი შვიღები ჯერ გუღშიც არ ჩაეკრა. — შვიღები ჩამოვიდნენ, წეღიწადზე მეტია თვაღით არ გვინახავს, ამან კი რა მოიფიქრა: ადგა და მუშტი-კრივი გაუმართა!

— მართღაც კარგად ჩხუბობს! — ამბობდა ბუღბა და თან ტანისამოსს ისწორებდა, — ღმერთია მოწმე. კარგი კაზაკი დადგება! აბა, გამარჯობა, შვიღო! მოდი ერთი, გადავკოცნოთ ერთმანეთი! — და მამა-შვიღი ერთმანეთს გადაეხვია. — კარგია, შვიღო! კარგია! ისე დაბეგვე ყვეღა, როგორც მე ამიხურე გვერდები. არავის არაფერი შეარჩინო! მაგრამ ჩაცმუღობა მაინც სასაციღო გაქვს: ეს რაღა თოკი ჩამოგთრევს? შენ რაღას დგახარ ასე ხეღებჩამოყრიღი, შე დოყღაპია? — მიუბრუნდა ახღა უმცროს ვაჟს: — შენ რატომ არ მცემ, შე ძაღღიშვიღო?

— ეს კიდევ რა მოიგონა! — ამბობდა დედა, რომეღიც ამ დროს უმცროს ვაჟს ეხვეოდა. — რას აღარ მოიგონებს, ვის გაუგია, შვიღი მამასა სცემდეს! თანაც ახღა რა დროს ესაა: ბავშვს ამხეღა გზა გამოუვღია, დაღღიღა. (ეს ბავშვი კი ოც წეღს გადაციღებუღი ახმახი იყო, ერთი საჟენი სიმაღღის)... იმის ნაცვღად, დაასვენოს და დააპუროს, ჩასციებია, მოდი, მეჩხუბეო!

— ეე, შენ, როგორც გატყობ, ნებიერა ხარ! — ეუბნებოდა ბუღბა. — შვიღო, დედას ნუ დაუჯერებ: დედაკაცია, რა გაეგება. რის დაყვავება, რა დაყვავება? გაშღიღი ვეღი და შეკაზმუღი ცხენია თქვენთვის დაყვავება! აგერ, ამ ხმაღს ხომ ხედავთ? ეს არის თქვენი დედა! სხვა ყვეღაფერი კი, რითაც თავს გიტენიან, ეს აკადემიები, ეს მწიგნობრები, ანბანები თუ ფიღოსოფია, სისუღეღეა. ზედაც არ მივაფურთხებდი! — აქ ბუღბამ ისეთი სიტყვა დააყოღა, რომეღიც წიგნში არც იხმარება. — ჯობია, იქით კვირას ზაპოროჟიეში გაგიშვათ. აი, სად არის ნამდვიღი მეცნიერება! აი, ის იქნება თქვენთვის სკოღა და იქ ისწავღით ჭკუას!

— მარტო ერთ კვირას იქნებიან შინ? — საცოდავად იმეორებდა თვაღცრემღიანი, გამხდარი მოხუცი დედა: — ვერც დასვენებასა და გავღა-გამოვღას მოასწრებენ, ვერც სახღში ყოფნით იჯერებენ გუღს და ვერც მე დავტკბები მათი ცქერით!

— კარგი, გეყოფა წუწუნი, ბებრუხანავ! კაზაკი იმისთვის არ გაჩენიღა, რომ დედაკაცებში იჯდეს. ბარემ კაბის კაღთა გადააფარე და კრუხივით გადაეფოფრე. მიდი, მიდი და სუფრა გაგვიშაღე, ყვეღაფერი მოიტანე, რაც კი რამ გაქვს. არ გვინდა ფუნთუშები, თაფღიანი და ხაშხაშიანი კვერები და ბღითები: მოგვიტა მთეღი ცხვარი, თხა, ჩვენებური არაყი! არაყი ბღომად, რაც შეიძღება ცხარე, მაგრამ არა ქიშმიშით და რამე-რუმეებით, არამედ ნამდვიღი, ჯაჭვმომდგარი, ცოფივით რომ იყოს და ნაპერწკღებს გაყრევინებდეს.

ბუღბა შვიღებს სასტუმრო ოთახისაკენ გაუძღვა, საიდანაც ოქროსფერი ღინჭიღებით მორთუღი ორი ღამაზი მოახღე გოგო გამოვარდა. ისინი ოთახს ასუფთავებდნენ. როგორც ჩანს, დააფრთხო ბატონის ვაჟების მოსვღამ, არავის წინაშე დათმობა რომ არ სჩვეოდათ; ანდა უნდოდათ ქაღებისთვის ჩვეუღი კეკღუცობა გამოევღინათ: კაცის დანახვაზე რომ შეჰკივღებენ და თავპირისმტვრევით გაიქცევიან, შემდეგ კი, დარცხვენიღები, სახეზე სახეღოს აიფარებენ ხოღმე. ოთახი იმ დროის გემოვნებით იყო მორთუღი, რომღის შესახებაც ცხოვეღი მოგონებანი მხოღოდ სიმღერებსა და ხაღხურ თქმუღებებში შემორჩენიღა, უკვე რომ აღარ ამღერებენ უკრაინაში ხაღხით

გარშემორტყმული თეთრწვერა უსინათლო მოხუცები ბანდურის[3] ნელ ხმაზე; იმ ავბედითი, მძიმე დროის გემოვნებით, როცა უკრაინაში ერთიანობისათვის ბრძოლა და სისხლის ღვრა დაიწყო. შიგნით სისუფთავე სუფევდა, კედლები ფერადი თიხით იყო შელესილი. იქვე ეკიდა ხმლები, ქამანდები, კაკანათები და თევზსაჭერი ბადეები, თოფები, ოსტატურად ნაკეთები რქის საპირისწამლეები, ოქროს ღაგამი და ვერცხლის ბალთებით გაწყობილი აღვირი. ოთახს ფანჯრები პატარა ჰქონდა, მრგვალი მქრქალი მინებით, სწორედ ისეთი, როგორიც ახლა მხოლოდ ძველ ეკლესიებს აქვთ ხოლმე და რომლებიდანაც რამის დანახვა შეუძლებელი იყო, თუ ჩამოსაშვებ მინას არ ასწევდნენ. კარ-ფანჯრებს წითელი ჩარჩოები ჰქონდა. ოთახის კუთხეებში თაროებზე ჩამწკრივებული იყო სურები, ბოთლები, მწვანე და ღურჯი მინის მათარები, ჩუქურთმიანი ვერცხლის კულები, შტოფები, თასები, სხვადასხვა წარმოშობის მოოქრული ფიალები: ვენეციური, ოსმალური, ჩერქეზული, რომლებიც, ვინ იცის, საიდან, ვისგან და როგორ მოიპოვა ბულბამ, — იმ საგმირო დროს ეს ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა. ოთახში ირგვლივ ჩამწკრივებული იყო არყის ხის მერხები. ხატებქვეშ, საპატიო კუთხეში, იდგა უშველებელი მაგიდა, იქვე იყო თაროებ-საფეხურებიანი განიერი ღუმელი, ჭრელ-ჭრელი შორენკეცებით შემკული. ყოველივე ამას კარგად იცნობდნენ ეს ჩვენი ახალგაზრდები, რადგან ყოველ წელს არდადეგებზე შინ ფეხით ჩამოდიოდნენ, ფეხით კი იმიტომ, რომ ჯერ ცხენები არა ჰყავდათ და არც წესი იყო, რომ სკოლის მოსწავლეებს ცხენით ევლოთ. ახალგაზრდებს ჩუბები[4] ჰქონდათ, რომლის მოქიჩვაც ყოველ შეიარაღებულ კაზაკს შეეძლო. ბულბამ მხოლოდ სწავლის დამთავრების დროს გაუგზავნა თავისი რემიდან ორი უღაყი.

შვილების ჩამოსვლასთან დაკავშირებით ბულბამ ბრძანა, მოეწვიათ ყველა ასისთავი და პოლკის მთელი უფროსობა, ვინც კი იმჟამად იქ იმყოფებოდა. როგორ კი მოვიდნენ ორი მათგანი და ესაული დმიტრო ტოვკაჩი, ბულბას ძველი ამხანაგი, მაშინვე შვილები წარუდგინა: «აბა, შეხედეთ, რა ბიჭები არიან! მალე სეჩში[5] გავგზავნი». სტუმრებმა მიულოცეს როგორც ბულბას, ისე მის შვილებს და დაუდასტურეს, რომ ძალიან ჭკვიანურია, რადგან ახალგაზრდისთვის ზაპოროჟიეს სეჩზე უკეთესი მეცნიერება არ არსებობსო.

— აბა, დასხედით, ვისაც სად გერჩიოთ. აბა, შვილებო! ჯერ არაყი გადავკრათ! — ამბობდა ბულბა. — ღმერთო, გვაკურთხე! გაგიმარჯოთ, შვილებო: შენც, ოსტაპ, შენც, ანდრი! ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მუდამ გამარჯვებული ყოფილიყავით ომში! ბასურმანებს[6], თურქებს, თათრებს მუსრი გაავლეთ; როცა ლიახებიც ჩვენი სარწმუნოების წინააღმდეგ რასმე განიზრახავენ, იმათაც მუსრი გაავლეთ. აბა, რას უცდი, მოიტა ფიალა; რაო, ხომ კარგი არაყია? მითხარი ერთი, ლათინურად რა ჰქვია არაყსა? ჰხედავთ, შვილებო, ბრიყვები ყოფილან ლათინები: არც კი სცოდნიათ, თუ დედამიწის ზურგზე არაყი არის! მითხარი, იმას რაღას ეძახდნენ, აი, ლათინურ ლექსებს რომ წერდა? წერა-კითხვა არც ისე კარგად ვიცი და ამიტომაც არ მახსოვს: ჰორაციუსი ერქვა, არა?

«ხედავ ბატკოსა! — გაიფიქრა თავისთვის უფროსმა შვილმა, ოსტაპმა, — ყველაფერი იცის ბებერმა ქოფაკმა, თავს კი იკატუნებს, ვითომდა არა ვიცი რაო».

— აღბათ, არქიმანდრიტი არაყს არც კი გასუნებინებდათ, — განაგრძო ბულბამ. — გამოტყდით, შვილებო, ხომ გვარიანად გამათრახებდნენ და გიჭრელებდნენ ხოლმე ზურგსა და სხეულის სხვა ნაწილებსაც არყისა და აღუბლის წკეპლებით? ან იქნება, რაკი ძალიან ჭკვიანები გახდით, მათრახებსაც გადაგიჭერდნენ ხოლმე? ვინ იცის,